# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 230

"8" სექტემბერი 2020 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, დიდუბის ქუჩა №6-ის მიმდებარედ 35 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.07.002.039) პირდაპირი განკარგვის წესით ჯემიკო ფოფხაძისთვის (პ/ნ:62001030583) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და $122^1$ მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, დიდუბის ქუჩა №6-ის მიმდებარედ, 35 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.07.002.039) პირდაპირი განკარგვის წესით ჯემიკო ფოფხაძისთვის (პ/ნ:62001030583) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 12 აგვისტოს №20.899.1110 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, დიდუბის ქუჩა №6-ის მიმდებარედ 35 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.07.002.039) პირდაპირი განკარგვის წესით ჯემიკო ფოფხაძისთვის (პ/ნ:62001030583) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 4 200 (ოთხი ათას ორასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე